ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135. 135240884**
თარიღი:**28/03/2024**

მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩვაბიანში განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 41 და 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260-ე დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს მულახის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ჩვაბიანში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (**ს/კ: 42.05.38.264, 42.05.38.269)** სასტუმროს მშენებლობისთვის, განაშენიანების დეტალური გეგმა დანართის შესაბამისად.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი